საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
N 39234

1. სახელწოდება

ივანე უნდილაშვილის საცხოვრებელი სახლი

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	საქართველო; მცხეთა-მთიანეთი; დუშეთი; უნდილაანთკარი
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	ქართლის მთიანეთი
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	

მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	+
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. სტატუსი და კატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	09/02/2021
სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
დოკუმენტის #	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	02/5
კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე
კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის #	თავდაპირველი	

დოკუმენტის #	ამჟამინდელი	
რეესტრის #	7878	
რეესტრში შეტანის თარიღი	15/02/2021	

5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

ახალი და უახლესი ისტორია _ მე-19-21-ე სს.>>ახალი ისტორია _ მე-19 ს.,

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
რელიგიური		
სათავდაცვო		
საერო	საცხოვრისი>>ტრადიციული ხალხური ხუროთმოძღვრება/სოფლის საცხოვრისი;	საცხოვრისი>>ტრადიციული ხალხური ხუროთმოძღვრება/სოფლის საცხოვრისი;

7. საკუთრება (მესაკუთრე/ მესაკუთრეები)

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

საცხოვრებელი სახლი ისტორიულ ქალაქ დუშეთიდან 6-7 კილომეტრის დაშორებით, სოფელ უნდილაანთკარში მდებარეობს. ერთსართულიანი ნაგებობა, რომელიც ცოკოლის მაღალ სართულს ეყრდნობა, გეგმით წაგრძელებული ფორმის სწორკუთხედს შემოწერს. სარდაფის სართული ძველი აგურით და რიყის ქვის მონაცვლეობითი წყობით არის ნაშენი. ერთ-ერთ სადგომს, რომელიც მიწაში ღრმად არის ჩასმული დედაბოძი აქვს. დედაბოძი ისევე როგორც მისი თავხე მოურთავი და უორნამენტოა და ქვის თლილ ბაზისს ეყრდნობა. აღსანიშნავია, რომ დედაბოძიანი სადგომის კედლის ფრაგმენტები რიყის ქვით არის ნაშენი კირის დუღაბზე. საცხოვრებელი სახლი სივრცეში თავისუფლად დგას. მას რიყის ქვის და ახალი (ე.წ. რუსული) აგურით ნაშენი ყრუ ზურგი აქვს. სახლის ზურგის მხოლოდ ერთი ფრაგმენტია რიყის ქვისა. ეზოს ძირითადი სივრცისკენ შენობა გრძივი ფასადის გასწვრივ განვითარებული ხის ღია, ჭვირულმოაჯირიანი აივნით იყურება. აივნის ერთ გვერდზე, მარცხნივ (პირით აივნიანი ფასადისკენ) ხის სწორხაზოვანი კიბეა მიდგმული. აივანი გრძივი გვერდით რიყის ქვისა და აგურის წყობით აშენებულ კედელს ეყრდნობა. ეს ცოკოლია, რომელიც აივნიანი ფასადის შუა მხარეს მიუყვება. აივნის შიდა, საფასადო სიბრტყე მშვილდა თაღით დაბოლოებული ფანჯრის და კარის ღიობებით არის დანაწევრებული. შენობას ქანობიანი სახურავი აქვს და თუნუქის ფურცლებით არის გადახურული. საცხოვრებელი სახლის გეგმარება ანფილადურია. ინტერიერის მორთულობის თავისებურებას კი თახჩები და წალოები შეადგენს, განაპირა ოთახების კედლები კი სიმეტრიული კომპოზიციის სწორკუთხა ნიშებით არის დამუშავებული. აღწერილი შენობის არქიტექტურა ადგილობრივ ტრადიციას მისდევს. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ XIX საუკუნის მიწურულის მშენებელი ძველი სახლის ფორმებს დაეყრდნო და სავარაუდოდ მისი სივრცითი სტრუქტურა გაიმეორა. ნაგებობა, მიუხედავად მისი დაზიანებულობისა, ინარჩუნებს მხატვრულ და არქიტექტურულ ღირებულებას. გადმოცემით საცხოვრებელი სახლი უნდილაანთკარის უხუცეს მკვიდრს ივანე უნდილაშვილს (გარდაიცვალა 1912 წელს) ეკუთვნოდა. ივანე უნდილაშვილის არაერთი წისქვილის მფლობელი იყო ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტყის მასივთან ე.წ. სანახშირეზე.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1 ზოგადი შეფასება

ცუდი

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

საცხოვრებელმა სახლმა დიდად დაზიანებულმა მოაღწია დღემდე. თუნუქის გადახურვის დიდი ნაწილი გაუმართავია. განსაკუთრებით დაზიანებული აივნის გადახურვაა. მისი ხის კოჭები დამპალია, იატაკი დეფორმირებული. აივანზე მიდგმული ხის კიბე მორყეულია. აივნის მოაჯირის ჭვირული ელემენტები დაკარგულია. გადარჩენილია ხის კრონშტაინების მწკრივი და ჭვირული ფარდის ოთხი ფრაგმენტი (ჭვირული ფარდის სხვა ფრაგმენტები სახლშია შენახული). გვერდით ფასადს აქვს ვერტიკალური ბზარი. ინტერიერში, ისევე როგორც აივნისპირა საფასადო კედელზე ბათქაშის დიდი ფრაგმენტებია ჩამოცვენილი.

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	

სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები:

უნდა მოხდეს ნაგებობის კონსტრუქციული მდგომარეობის შესწავლა და დაიგეგმოს შენობის გამაგრება და რესტავრაცია.

10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/სააღრიცხვო ბარათი	/ 1
უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა	
უახლესი და საარქივო ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	
საარქივო წყაროები	

11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. დამატებითი ინფორმაცია

გადმოცემით საცხოვრებელი სახლი უნდილაანთკარის უხუცეს მკვიდრს ივანე უნდილაშვილს (გარდაიცვალა 1912 წელს) ეკუთვნოდა. ივანე უნდილაშვილის არაერთი წისქვილის მფლობელი იყო ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტყის მასივთან ე.წ. სანახშირეზე. ი. უნდილაშვილის ნაგებობის სიახლოვეს ი. უნდილაშვილის შთამომავლების ახალი სახლი დგას. რეკომენდირებულია ივანე უნდილაშვილის ძველ სახლს მიენიჭოს ძეგლის სტატუსი. X კოორდინატი: 42.05480457; Y კოორდინატი: 44.66853132; სწორია

13. ბარათის შემდგენელი

მაია მანია

14. ბარათის შედგენის თარიღი

2020-07-17